ხელშეკრულება № 12/009
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2014 წლის 08 დეკემბერი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, ააიპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი (მის: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. № 1) წარმოდგენილი დირექტორის **ნინო გოცაძის** სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") და მეორეს მხრივ **შპს ,,გეოკოლორი"** (მისამართი: საგარეჯო, სოფ. პატარძეული) წარმოდგენილი დირექტორის **ნუგზარ ნებიერიძის** სახით (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 3 პუნქტის დ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის #597 განკარგულების შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს საკუთრებაში ამ ხელშეკრულების დანართში N1 მითითებულ საქონელს CPV 44100000 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ საქონელს და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრამდე.

3. საქონლის მიწოდების წესი და ადგილი

3.1. შესყიდული საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს „შემსყიდველი" მხარე საკუთარი ხარჯებით;

3.2. საქონლის მიწოდება ხდება ერთიანად, არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ძველი თბილისის უბანი, ბოტანიკურის ქუჩა N1.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:

4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

4.1.2. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი.

4.1.3. თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს ნივთი თავისი ხარჯით.

5. ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **13 155.45 (ცამეტი ათას ასორმოცდათხუთმეტი** ლარი **და 45 თეთრი)** ლარი.

5.2. საქონლის საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით საქონლის მოწოდებიდან 5 სამუშაო დღეში.

6. კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება დაევალოს ტექნიკურ მენეჯერს **სერგო გიორგობიანს.**

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა, შემსყიდველის მხრიდან განესაზღვროს საწყობის გამგეს ზურაბ ღავთაძეს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის

მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ს ოდენობით.

9.4 შემსყიდველს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

11.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

14. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ააიპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი	შპს „გეოკოლორი“
მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის უბანი	მისამართი საგარეჯო, სოფ პატარძეული
ბოტანიკურის ქუჩა N1	საიდენტიფიკაციო კოდი – 238131641
ს/კოდი: 404 405 960	სს პროკრედიტ ბანკი
სს „ბანკი ქართუ“	ბანკის კოდი: MIBgGE22
ბანკის კოდი: CRTUGE22	ა/ა: GE 75 PC 01 3360 0100 0360 30
ანგარიშის ნომერი:ა/ა GE07 CR 003 008 610 393 3608	
რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი	
ნინო გოცაძე	ნუგზარ ნებიერიძე
დირექტორი	დირექტორი

დანართი #1

#	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი	სულ	CPV
1	ფერადი გამამაგრებელი ფხვნილი 28.18	80	89.76	7180.80	441 00000
2	როლიზი 10 კგ	15	196.35	2945.25	44100000
	ქლეარ სილი 5 გალონიანი	12	252.45	3029.40	44100000
			ჯამი	13155.45	

შემსყიდველი:
ააიპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

მიმწოდებელი:
შპს „გეოკოლორი"

ნინო გოცაძე
დირექტორი

ნუგზარ ნეზიერიძე
დირექტორი

ვამტკიცებ:
საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი
ნინო გოცაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

30.12.2014.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ააიპ - **საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი** (მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის უბანი, ბოტანიკურის ქუჩა №1), წარმოდგენილი საწყობის გამგის ზურაბ ღავთაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „გეოკოლორი"** (მისამართი: საგარეჯო, სოფ. პატარძეული) წარმოდგენილი დირექტორის **ნუგზარ ნებიერიძის** სახით ვადასტურებთ, რომ პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ ჩააბარა 2014 წლის 29 დეკემბრის №12/009 ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონელი სრულად**, რომლის საერთო ღირებულებაა 13 155.45 (ცამეტი ათას ასორმოცდათხუთმეტი ლარი და 45 თეთრი) ლარი.

ააიპ - საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

ზურაბ ღავთაძე

საწყობის გამგე

შპს „გეოკოლორი"

ნუგზარ ნებიერიძე

დირექტორი